ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2261641

ნომერი: AR1341915

თარიღი : 18.09.2015

გაცემის თარიღი : 26.10.2015

გაცნობის თარიღი : 26.10.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635
- თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს მაგთი კოდი: 204873645

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 526948
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 31.01.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ ქურდიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: გია და არჩილ ქურდიანის სტუდია ,,დინასტია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204443888

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,მაგთი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204873645
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,მაგთი", დავით გაჩეჩილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024017635

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5160.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 4597.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 31774.56
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1123.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 19213.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 11218.0
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 220.56
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 163417.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 60777.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 102640.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.95
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 27.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 12.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.9 - 4644
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4.6 - 21362
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.1 - 516

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 659561,25.04.2013 ; 739755,20.06.2013
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.04.2013

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 659561;756859-25.06.2013
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.04.2013

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქ. N18/რუსთაველის N7–ში მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N23, 09.10.2015წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. დ. გაჩეჩილაძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. დ. გაჩეჩილაძეს, ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქ. N18/რუსთაველის N7–ში მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და შენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.